საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003, მუხ. 195) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^3–6^5 პუნქტები:

„6^3. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებართვა – 100 ლარი.

6^4. ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა – 100 ლარი.

6^5. ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვა – 200 ლარი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

30 ივნისი 2023 წ.

N3425-XIმს-Xმპ